სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

მანანა შელია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.03

კერამიკული ჭურჭლის ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებები

აბსტრაქტი. კერამიკის მრავალსახეობისა და მისი მრავალფეროვანი ლექსიკის გავრცელება მთელ მსოფლიოში წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან წყაროს ისტორიის, კულტურის, ლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით. კერამიკული ლექსიკა ჩამოყალიბდა და განვითარდა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით.

კერამიკული წარმოების ტერმინოლოგია საინტერესოა თავისი სტრუქტურული, სემანტიკური, ლინგოკულტუროლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით.

სტატია ეხება თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების კერამიკული ლექსიკის პრობლემას, რომლის მიზანია კერამიკული ტერმინოლოგიის ანალიზი, მათი ლექსიკური და ლინგოკულტუროლოგიური მახასიათებლების მიხედვით.

***საკვანძო სიტყვები*:** ლექსიკური, ლინგოკულტუროლოგიური ანალიზი, კერამიკა, კერამიკული ნაწარმი, ჭურჭელი, ფაიფური, ფაიანსი, ტერაკოტა, მაიოლიკა.

Manana Shelia[2]
Sokhumi State University

Linguocultural features of ceramic ware vocabulary

Abstract. The worldwide distribution of ceramics and its variety of types and diverse vocabulary make it an important source of research in terms of history, culture, linguistics, and linguioculturology. Ceramic vocabulary was formed and de-

[1] **მანანა შელია,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

[2] **Manana Shelia.** Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

veloped under the influence of linguistic and extralinguistic factors. The terminology of ceramic production is interesting from its structural, semantic, linguocultural and conceptual points of view.

The paper deals with the problem of the ceramic vocabulary of the modern English and Georgian languages, the purpose of which is to analyze the ceramic terminology, considering their structural and linguocultural peculiarities.

***Key words*:** lexical, linguocultural analysis, ceramics, ceramic products, pottery, porcelain, earthenware, terracotta, majolica.

ძირითადი ნაწილი. მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ინტერესი კერამიკისა და მისი ნაწარმის მიმართ. ჩვენი წინაპრები იყენებდნენ კერამიკას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. დროთა განმავლობაში კერამიკული მასალების გამოყენება უფრო გაფართოვდა. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კერამიკის მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება.

კერამიკული წარმოება თიხის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც ტრადიციულად აწარმოებს ჭურჭელსა და სამშენებლო მასალებს.ასევე კერამიკულ მასალებს ამზადებენ თითქმის ყველა საინჟინრო სფეროში. ამჟამად, მრავალი სფერო არსებობს, ასე მაგალითად: „კერამიკა“, „კერამიკისა და ცეცხლგამძლე მასალების ტექნოლოგია“, „კერამიკის მხატვრული მოხატულობა“, „მხატვრული და ხალხური კერამიკა“, „სახვითი და სამშენებლო კერამიკა“, „ელექტრონული კერამიკა“, „მხატვარი - არქეოლოგიური კერამიკის რესტავრატორი“, „კერამიკა და ცეცხლგამძლე მასალები“, „კერამიკა და მინა“, „სამრეწველო კერამიკა“, „კერამიკის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგია“, „დიზაინი და სილიკატური მასალებისგან პროდუქციის ინჟინერია“ და ა. შ.

კერამიკის მრავალსახეობისა და მრავალფეროვანი ლექსიკის გავრცელება მთელ მსოფლიოში წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან წყაროს ისტორიის, კულტურის, ლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით.

ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ენათა ოჯახში შემავალი და განსხვავებული სტრუქტურის მქონე ორი ენის - ქართული და ინგლისური კერამიკული ლექსიკის შესწავლა, მათი სპეციფიკური მახასიათებლების აღწერა, რომელიც საინტერესოა ლინგვისტური კვლევისთვის. ასევე განიხილება საყოფაცხოვრებო კერამიკული ჭურჭლის წარმოშობის ისტორია და გამოყენების ტრადიციები როგორც ქართულ, ისე ბრიტანულ კულტურაში.

კვლევის პროცესში უმთავრესად გამოვიყენეთ დესკრიპტიული, ეტიმოლოგიური, სემანტიკური, ლინგვოკულტუროლოგიური, კოგნიტიური და კომპარატიული ანალიზის მეთოდები.

კერამიკა ადამიანის საქმიანობის უძველესი სფეროა. სიტყვა კერამიკა ბერძნული წარმოშობისაა - (ბერძნ. keramikē – სამეთუნეო ხელოვნება, გამო-

მწვარი თიხის ნაკეთობები, <keramos – თიხა, რომელიც გავრცელებული იყო ძველი ათენის რაიონში „Cerami“), სუფთა ან მინერალურ და ორგანულმინარევებიანი თიხის გამომწვარი ნაკეთობები: საყოფაცხოვრებო ნივთები (ჭურჭელი და სხვა სამომხმარებლო საგნები). ძველი საბერძნეთის მკვიდრნი მეკეცე ოსტატს „კერამეუს“-ს უწოდებდნენ, რომელიც მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი მთავარი სახეობა იყო და აყვავებას მიაღწია ძვ. წ. აღ-ით VI-V საუკუნეებში.

კერამიკული ტერმინოლოგია ინგლისურ და ქართულ ენებზე საინტერესოა თავისი სტრუქტურული, სემანტიკური, მორფოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით. კერამიკა ქართული მეკეცეობის, ანუ მეთუნეობის შინაარსის შემცველი ტერმინია.

კერამიკული ნაწარმი პირველად ეგეოსის სანაპიროებზე ნეოლითის პერიოდში (დაახლოებით 7000-3500 წწ. ძვ. წ.) გაჩნდა. წინაბერძნული სტილის კერამიკა მოიცავს მინოსურ კერამიკას, რომელსაც ეწოდებოდა „ეგეოსური“. იქ დაინერგა ჭურჭლის ახალი ფორმა, სახელად *Minyan Ware* - მინოსური ჭურჭელი. ეს იყო სხვადასხვა ფორმის დოქები და ქოთნები. ჭურჭელს ამშვენებდა ნახატები ან ამოკვეთილი ორნამენტები.

ყოველდღიური მოხმარების ჭურჭლის დამზადება დიდ როლს თამაშობდა ათენის ეკონომიკაში ძვ. წ. აღ.-ით VI საუკუნეში, გახსნილი იყო დიდი კერამიკული სახელოსნოები. საბერძნეთში ოსტატების მიერ შექმნილი კერამიკული ნაწარმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადიოდა. ცნობილია ბერძნული კერამიკული ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა: *ალაბასტრონი, არიბალი, ამფორა* (ძველი ბერძნულიდან ἀμφορεύς „ჭურჭელი ორი სახელურით“), *ჰიდრია, კრატერი, კანფარი, კილიკი, ლეკიფი, ოინოჩეა, პელიკა, სკიფოსი, პითოსი, დინოსი, კოფონი, ფიალა* და სხვ. ამფორებში ინახავდნენ ღვინოსა და ზეითუნის ზეთს, ჰიდრიაში - წყალს, კრატერებში - სურნელოვან ნელსაცხებლებს. თიხის ამ ჭურჭელს სხვადასხვაგვარი ფორმა ჰქონდა.

კერამიკასთან ასოცირებული სიტყვებია: თიხა - clay,კერამიკული - ceramic. ჭურჭელი - ware; dishes; კრამიტი - tile და ა. შ.

დედამიწაზე თიხა წარმოიშვა დიდი ხნის წინ, მყინვარშორის პერიოდში, რომელსაც მრავალი ათასწლეულის განმავლობაში თან ახლდა ყინულის საფარის დნობა. ბუნებაში გამოიყოფა თიხის 40-მდე სახეობა, რომელიც დედამიწის ქერქის მეორადი პროდუქტია. მთელ მსოფლიოში თიხის საბადოები გვხვდება, რომლის შემადგენლობა შეიცავს სილიციუმის და ალუმინის კომპონენტებს. ყველაზე გავრცელებული მინარევებია რკინის ჰიდროქსიდი, მაგნიუმის ოქსიდი, კალციუმის ოქსიდი, კვარცი, რკინის სულფიდი და ა. შ. (იზმაილოვი, 2022).

თიხისან დამზადებული კერამიკული ნაწარმი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მოხმარების ნივთებია, მთელი ხელოვნებაა, შემოქმედებითი

პროცესია. სხვადასხვა სახის და ფერის თიხა, მისი დანამატები, სპეციალური წარმოების ტექნოლოგიები, დიზაინი – ქმნის პროდუქციის დიდ ასორტიმენტს. ეს არის ფაიფური, ფაიანსი, ტერაკოტა, მაიოლიკა.

არსებობს სიტყა *„თიხასთან“* დაკავშირებული მრავალი განმარტება: *თიხა* - მიწა, რომლსა ზედაცა ვალთ, გინა აზელილი შესაქმნელად კეცის ჭურჭელთა (ფსალ. 17,42; იოან. 9,6; რომაელ. 9,21) (ჩუბინაშვილი, 1961).

ინგლისური სიტყვა „თიხის“-*clay* ეტიმოლოგია შემდეგია: Old English clæg „stiff, sticky earth; *clay“,* from Proto-Germanic **klaijaz* (source also of Old High German *kliwa* „bran“, German *Kleie*, Old Frisian *klai*, Old Saxon klei, Middle Dutch *clei*, Danish *klæg „clay“* (Online Etymology Dictionary).

თიხის გამოყენების სფეროებია: *კერამიკის წარმოება - production of ceramics* - კერამიკული ჭურჭელი - ceramic dishes, earthenware, *ფაიანსი* - faiance და *ფაიფური* porcelain, china; *მედიცინა და კოსმეტოლოგია* - medicine and cosmetology; *საკვები თიხა* - edible clay.

თიხის ტიპებად დაყოფა განისაზღვრება ისეთი თვისებების კომბინაციით, როგორიცაა ტექსტურა, ფერი, დრეკადობა, აგლომერაცია, ცეცხლგამძლეობა და მინარევების რაოდენობა. გავრცელებულია: – კაოლინის (თეთრი) თიხა - *kaolin (white) clay* - თეთრი თიხა გამოიყენება ფაიფურის და ფაიანსის წარმოებაში; *ფაიფური* - porcelain; *თიხის ჭურჭელი* - earthenware clay: *ქვის თიხა* - stoneware clay, *ბურთიანი თიხა* - ball clay;*სამშენებლო თიხა* - construction clay; *ლურჯი თიხა* - blue clay**; -** *ბენტონიტის თიხა* - bentonite clay; *შამოტის თიხა* - chamotte clay; *ფიქალის თიხა - slaty clay; სამეთუნეო თიხა*- pottery clay; *მონტმორილონიტი თიხა* - montmorillonite (fulling) clay; *კირქოვანი თიხა - loam; clay; აგურის თიხა - brick earth, loam; ცეცხგამძლე თიხა* - fireclay; *კლდის თიხა* - rock clay და ა. შ.

თიხის მრავალი სახეობაა: *აბისალური წითელი* - abyssal red, *ბენტონიტური* - bentonite, *ბლანტი* - viscous,, *გამომწვარი* - fired, *განლექილი* - sedimentary, precipitated, *ზელილი* - kneaded, *თიხაბზე* - airbrick - *თხევადი* - liquid, *თეთრი* - white, *კაოლინური* - kaolinic, *კერამიკული* - ceramic, *კირიანი* - calcareous , *მაგნეზიური* - magnesian, *მათეთრებელი* - whitener**,** *მიკროშრეული* - microlayer*, მონომინერალური* - monomineralic, *ნედლი* - crude *ორგანოგენური* - organogenic, *პლასტიკური* - plastic, *ოლიმიქტური* - olymictic, *პოხიერი* - manured, *რკინოვანი* - ferrous, *საგურე* - brick, *საადსორბციო* - adsorptive, *სამეთუნეო - potter's, საყალიბო* - moulding,, *საძერწი* - sculptural,, *სუსტდნობადი* - weak fusible, *ტერიგენული* - terrigenous, *ფაიფურის* - porcelain, *ქვიშოვანი* - sandy, *შთანთქმელი* - absorbent**,** *ცეცხლგამძლე* - fireproof, *წითელი ოკეანური* - red oceanic და სხვ. (თიხა და მისი თვისებები, 2022).

თიხის ნაერთებია - clay compounds - *კაოლინიტი - kaolinite; სმექტიტი - smectite; ქლორიტი - chlorite; ილიტი -illite.*

საზღვაო თიხის ფენების წარმოქმნა მოხდა თიხის ნივთიერებების წყლის დინებით დეპონირების, მათი დაგროვებისა და დალექვის დროს. საზღვაო ჯგუფის თიხებია: *სანაპირო საზღვაო* - coastal-marine, *ლაგუნის* - laguna, *შელფის* - shelf, *დელუვიური*-diluvial, *ტბის* -lake, *პროლუვიური* - proluvial *და მდინარის*- river.

თიხის ფერები დამოკიდებულია ქიმიურ შემადგენლობაზე და განისაზღვრება მასში მრავალფეროვანი მარილების არსებობით. თიხა შეიძლება იყოს *თეთრი - white* – (კაოლინიტის ჯუფი), *ყვითელი - yellow* - (კალიუმის და რკინის, იშვიათი მიკროელემენტების ნაზავი), *წითელი - red* – (რკინის ოქსიდისა და სპილენძის კომბინაცია), *ლურჯი - blue* – (კალიუმის, მაგნიუმის, რადიუმის, რკინის, აზოტის, სილიციუმის, ფოსფატის კომბინაცია), *ვარდისფერი - pink* – (თეთრი და წითელი თიხის ნარევი), *ნაცრისფერი grey, ყავისფერი - brown, მწვანე - green*- (რკინის ოქსიდი), *შავი -black* (სტრონციუმი, კვარცი, რკინა, მაგნიუმი და კალციუმი) და ა. შ.

შავი და ნაცრისფერი ფერები გამოწვეულია თიხაში მყოფი ორგანული ნივთიერებების დანახშირებით, რომლებიც შესაძლოა ბუნებრივად, ან ხშირად ხელოვნურად იყო მასაში შეტანილი (კინწურაშვილი, 2011 : 20).

ინგლისური სიტყვა *clay*-ისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები: *clayey* - თიხიანი, თიხით დაფარული, *clayish* - თიხის, *claylike* - თიხისმაგვარი.

სიტყვა თიხის შემცველი შესიტყვებებია - *clay pigeon* - თიხის ფილა, *clay court* - (სპორტ.) ჩორბურთის კორტი თიხის საფარით; *potter's clay, clay loam* - ცხიმოვანი თიხნარი; *clay mineral* - თიხის მინერალი, *clay feet* - თიხიანი ფეხები; თიხიანი ნიადაგი - *clay soil; თიხიანი ფიქალი* - clay shale; *china clay*- კაოლინი, თიხათეთრი, ფაიფურის თიხა; თიხათეთრი; *kaolin clay* - კაოლინი; *faience clay* - ქაშანაურის თიხა; *kaolinite clay* - კაოლინიტური თიხა; *london clay* - (გეოლ.) ლონდონური თიხა (კაინოზოური ერის წარმონაქმნი); *china clay* - ფაიფურის თიხა, კოალინი; *ball-clay* - 1. (სპეც.) კოშტა თიხა; 2, (სპეც.) პლასტიკური თიხა; *sand clay* ქვიშნარი, ქვიშის თიხა; *flint clay* - [noun] მყარი ცეცხლგამძლე თიხა; *percolation clay* - [noun] მათეთრებელი თიხა; *boulder clay* - (გეოლ.) კლდის თიხა; *coal clay* - ცეცხლგამძლე თიხა, შამოტი; *japanese acid clay* - იაპონური მჟავე თიხა და ა. შ.

სიტყვა „*იხასთან* “დაკავშირებული სინონიმებია: *აგური* - brick, *ტერაკოტა* - terracotta, *კაოლინი* - kaolin, *კერამიკა* - ceramics, *ფაიანსი* - faience, ხოლო ამ სიტყვასთან დაკავშირებული ასოციაციებია: *ასფალტი* - asphalt, *თეთრი* - white, *ბიუსტი* - bust, *ვაზა* - vase, *მეთუნე* - potter, *ქოთანი* - pot, *ნიადაგი* - soil, *აგური* - brick, *დოქი* - jug, *ნაჭერი* - piece, *მასა* - mass, *მასალა* - material, *აგურის თიხა* - brick earth, *ცეცხლგამძლე თიხა* - fire-clay. *გამომწვარი* - terracotta, fired clay; *თიხის ნაწარმი* earthenware, pottery; *გააქტიურებული თიხა* - activated clay, treated clay, *თეთრი თიხა* - kaolin, china/porcelain clay, *თიხაკირი* - clay and limestone (cement), *თიხამიწოვანი* - clay(-soil) (e.g. layer, area); *თიხათეთ-*

რი - kaolin; porcelain clay, *ხელოსანი* - artisan, handicraftsman, *ხელობა* - craft, *სკულპტურა* - sculpture, *სკულპტორი* - sculptor, *კრამიტი* - tile და ა. შ.

თიხის ჭურჭელი - crockery, glost **-** თიხის მოჭიქული ჭურჭელი**,** *clayware* - თიხის ჭურჭელი; თიხის ნაკეთობები, *crockery ware* **-** თიხის ან ქაშანურის ჭურჭელი; *earthenware* – 1. თიხის ჭურჭელი; სამეთუნეო ნაწარმი; 2. კერამიკა; 3. ფაიანსი; *earthenware crockery* **-** თიხის ჭურჭელი, *pottery* **-** თიხის ჭურჭელი; მეთუნეობა, სამეთუნეო წარმოება; სამეთუნეო სახელოსნო; *stoneware* **-** კერამიკული ნაკეთობები, მოჭიქული სამეთუნეო ნაკეთობები; (მოჭიქული) თიხის ჭურჭელი, *yellow ware* **-** თიხის ჭურჭელი; სამეთუნეო ნაწარმი, *brown ware* - თიხის ჭურჭელი**.**

სიტყვა *„თიხის“* შეთანხმება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებთან: *ზედსართავ სახელებთან* -სველი თიხა - *wet clay*, ნედლი თიხა - *raw clay*, მშრალი თიხა - *dry clay*, ყვითელი თიხა - *yellow clay,* რბილი თიხა - *soft clay,* ახალი თიხა - *fresh clay*, მოწითალო თიხა **-** *reddish clay*, წებოვანი თიხა - *viscous clay,* ყავისფერი თიხა - *brown clay*, ჭურჭლის თიხა - *pottery clay*, მწვანე თიხა - *green clay* და ა. შ.

არსებით სახელებთან: თიხის მინერალი - *clay mineral*, თიხის ქოთნები - *clay pots*, თიხის ნაჭერი - *a piece of clay*, თიხის ფენა - *clay layer*, თიხის ფერი - *clay color*, თიხის ნატეხები - *shards of clay*, თიხის თვისებები - *clay properties,* თიხის გამოყენებით - *using clay*, მუჭა თიხა - *a handful of clay*, თიხის ძიებაში - *looking for clay* და ა. შ.

ზმნებთან: თიხისგან გამოძერწვა - sculpt from clay, *თიხაზე სრიალი* - slip on clay, *თიხით მუშაობა - work with clay*, *თიხის თხრა - dig clay*, *თიხისგან გაჭუჭყიანებული - soiled with clay*, *თიხის გამოყენება - use of clay*, *თიხაში გაწურული - smeared in clay*, *თიხისგან ადამიანის შექმნა - create a man from clay*, *თიხის მოზელვა - knead clay*, *თიხას მოპოვება - mine clay*, *thicken - გასქელება, შესქელება, გახშირება, ამღვრევა* და ა. შ.

ძველ ეგვიპტეში ხნუმმა, ვერძის თავით გამოსახულმა ღმერთმა, დიდმა შემოქმედმა, ცისა და მიწის, ზესკნელ-ქვესკნელის, ნაყოფიერების, წყალთა და მთათა მბრძანებელმა თიხისან გამოძერწა ადამიანი. ეგვიპტელები მას მეთუნეების მფარველად და პირველ მასწავლებლად თვლიდნენ.

ნაპოვნი ლურსმული ტექსტების 99 პროცენტზე მეტი თიხის ფირფიტებზეა შესრულებული.

ძვ. წ. აღ.-ით IV ათასწლეულში შუმერებმა გამოიგონეს *ბორბალი, ეტლი, სამეთუნეო ჩარხი* და *აგურის ღუმელი.* შუმერები „ლურსმული“ დამწერლობის ნიშნების ანუ სიმბოლოებისთვის საწერ მასალად თიხას იყენებდნენ. თიხისაგან პატარ-პატარა გუნდებს ზელდნენ და ფირფიტის ფორმას აძლევდნენ. ინფორმაციის ჩასაწერად ჯერ კიდევ სველ ფირფიტაზე სამკუთხედად

წამახულ ლერწმის წვრილი ღეროთი ნიშნები გამოჰყავდათ, რის შემდეგაც ფირფიტებს მზეზე აშრობდნენ და ინახავდნენ.

ენეოლითის ხანაში თიხის ნაწარმი ტექნიკურად და ფორმით ჯერ კიდევ საკმაოდ პრიმიტიული იყო - ხელით, არათანაბრად გამომწვარი, მაგრამ ასეთი დამზადების ტექნიკა ფეხმოკიდებული იყო ყოფაში.

სამეთუნეო ხელოვნება ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის ისტორიაში, დედამიწაზე მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი დაეუფლა მეთუნეობას, ხოლო თიხის პროდუქტების დიზაინის ძირითადი ფორმები და ტიპები განვითარდა ბრინჯაოს ხანაში.

თიხის ჭურჭლების დამზადება დაკავშირებულია „მეთუნის ბორბლის“ გამოყენებასთან, რომლის გამოგონება თარიღდება ძვ. წ. აღ.-ით 3700 წლით, სავარაუდოდ, ტიგროს-ევფრატის აუზის შუმერების ან ჩინელების მიერ. პირველი იყო უფრო ძველი და პრიმიტიული - „ხელის მორგვი“ და მოგვიანებით, ადრე ბრინჯაოს ხანაში „ჩარხი“, ანუ „ფეხის ჩარხი“. ჩარხზე დამზადებული ჭურჭლის წარმოებისას გაჩნდა უფრო დახვეწილი კერამიკის ნიმუშები, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ მოვლენას წარმოადგენდა კერამიკის ხელოსნობისა და ხელოვნების ისტორიაში.

პირველი მეთუნეები ქალები იყვნენ. სწორედ ისინი ამზადებდნენ უზარმაზარ ჭურჭელს საჭმლის მოსამზადებლად. სამეთუნეო ბორბლის გამოიგონების შემდეგ, თიხის ნაკეთობის ფორმები შეიცვალა, გამოჩნდა თხელკედლიანი მრგვალი თეფშები. სულ მალე დოქების დამზადება და საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება მასიური გახდა.

„პირველყოფილი სამზარეულოს ბატონ-პატრონად ქალია მიჩნეული, მამაკაცის ძირითადი საზრუნავი კი ნადირობა და მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლა იყო. ასეთ პირობებში საოჯახო ნივთების გაუმჯობესება უმთავრესად ქალს უნდა მიეკუთვნოს. ბევრი მეცნიერი თიხის ჭურჭლის გამოგონებასაც ქალს მიაწერს. ამის ერთ-ერთ საბუთს ისიც წარმოადგენს, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხში კერამიკულ ნაწარმს ამჟამადაც მხოლოდ ქალები ამზადებენ“ (ჯაოშვილი, 1958 :7). მოგვიანებით, მეთუნეობა მამაკაცების საქმედ იქცა და სწრაფი გავრცელება დაიწყო.

თიხა თავისთავად არ არის განსაკუთრებული ღირებულება, მაგრამ ის შეიძლება გახდეს ძვირფასი, თუ გამოცდილი ხელები მისცემენ მას სასურველ ფორმას და დანიშნულებას. ოსტატს ჭურჭლის ხელოვნების აღქმისთვის სჭირდება ენერგიის კონცენტრაცია, სიმშვიდე და კრეატიულობა. კერამიკული ნაწარმის კლასიფიკაცია მათი დანიშნულების მიხედვით არის სამშენებლო და საოჯახო-სამეურნეო. კერამიკული ჭურჭელი დაყოფილია ჯგუფებად: წყლის, რძის, ღვინის, სამზარეულოს და მარცვლეულის შესანახი. აღნაგობა-მოყვანილობის მიხედვით გამოირჩევა კერამიკული ჭურჭლის შემდეგი ფო-

რმები: 1.დიდი, პატარა; 2.ფართო, ღრმა, მრგვალი; 3.ორყურა, უყურო; 4. ფერხიანი, უფერხო; 5. სარქულიანი, უსარქული და სხვა (ფხაკაძე, 2006 : 20).

უძველეს დროში თვლიდნენ, რომ მეჭურჭლე თავის საქმეში ოთხივე ბუნებრივ ელემენტს - *მიწას, წყალს, ჰაერს* და *ცეცხლს* იყენებდა. იღებდა - მიწიდან თიხას და წყალში ხსნიდა, ხოლო ჩამოსხმულ პროდუქტს ჰაერში აშრობდა. ჭურჭლის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლის დამზადება.

თიხის ნაწარმის დამამზადებელი ხელოსნის სახელები ისტორიულად განსხვავებულია. ზოგი არქაული ტერმინი დაკარგულია, ზოგიც მნიშვნელობაცვლილი. ეს ტერმინებია *მეკეცე, თიხისმოქმედი, მეჭურჭლე, მეთუნე.* ხელობის სახელები მეთუნეობის ტერმინოლოგიაში, ჩვეულებრივ, *მე-ე* აფიქსებით იწარმოება, თუმცა მათ მისაღებად განსხვავებული შინაარსის ძირებია გამოყენებული: *კეცი* - მასალის აღმნიშვნელი სიტყვა; *ჭურჭელი* - თიხის ნაკეთობათა აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვა; *თუნი* - თიხის ნაკეთობათა გამოსაწვავი ქურის სახელი (ფხაკაძე, 2006: 22).

მექოთნე, მეჭურე, მეთონე თანამედროვე ქართულში გვაქვს ამა თუ იმ სახის ჭურჭლის მკეთებლის კონკრეტული ტერმინებიც: *მექოთნე*- ქოთნის მკეთებელი ხელოსანი; *მექვევრე* - (მეჭურე დიალექტებში) - ქვევრის მკეთებელი; *მეთონე* - თონის მკეთებელი. მოჭიქული ჭურჭლის მკეთებელ ხელოსანს მექაშანურე ეწოდება (ფხაკაძე, 2006 : 24).

საქართველოში მეთუნეობა ათასწლეულებს ითვლის. თიხის ჭურჭლის ნიმუშები ჯერ კიდევ ქვის ხანის ეპოქიდან არის შემორჩენილი. საქართველოში უკვე ძვ. წ. აღ.-ით VII-VI საუკუნეებში გამომწვარი წითელი თიხის ჭურჭელი მზადდებოდა. ჩვენი წინაპრები თიხას სათანადოდ ამუშავებდნენ, მისგან ჭურჭლის ფორმებს ძერწავდნენ, წვავდნენ და დეკორით ამკობდნენ.

ბუნებაში *საკვები თიხაც* კი მოიპოვება. აკადემიკოსი ა. ე. ფერსმანი თავის წიგნში „საინტერესო მინერალოგია“ საუბრობს შიმშილობის დროს მიწის ჭამის შემთხვევებზე, ასევე სამხრეთ ამერიკელი და აფრიკელი ტომების შესახებ, რომლებიც საკვების ნაცვლად იყენებდნენ თიხას. XVIII საუკუნის შუა ხანებში, ოხოტის ოლქში, ადგილობრივი მოსახლეობა საჭმელს კაოლინისა და ირმის რძის ნარევისაგან ამზადებდა (ფერსმანი, 1975).

ადამიანები მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ჯანსაღ კვებაზე, ცდილობენ გამოიყენონ ეკოლოგიურად უსაფრთხო, ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული ჭურჭლი. თიხის ჭურჭელს უნიკალური, სასარგებლო თვისებები გაა ჩნია, რადგან დამზადებულია ბუნებრივი მასალისგან და განსაკუთრებულ არომატს ანიჭებს კერძებს, არეგულირებს ტემპერატურას და სინოტივეს, რომლის შექმნა ადამიანებმა ცივილიზაციის ადრეულ ეტაპზე დაიწყეს.

საქართველოში თიხისგან დამზადებული ჭურჭლის პროდუქციის სახელებია: *თიხის დოქი, ქოთანი, კეცი მრგვალი, სარწყული, კოკა, ყანწი, ქვევრი, ჯამი, ჯამჭიქა, ფილჯამი, ბადია, წაფა, წაფურა, კილანი, თასი, ფიალა, ტოლჩა,*

ლიტრა, ნირტა, თუნგი (თუნგულა), სურა და ა. შ. ფიალა, თასი და ჯამი სინონიმური ტერმინებია. ქოთნის დიალექტური ფორმებია: ქვაბქოთანი, ხელქოთანი, სალობიე, ქებჩურა (ქუბჩურა), ხუხუპა, ფილი, ქოჩახი, კოჭობი, ქილა, საწველელი, სპარა, საწურავი.

ქართული ღვინის ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია მრავალფეროვანია თავისი დიზაინით, ფორმით და მოცულობით, რომელსაც თავისი წარმოშობის ისტორია აქვს.

დოქები მზადდებოდა როგორც ვერცხლისგან ან სხვა ლითონებისგან, ასევე თიხისგან. სურა არის მაღალყელიანი და უფრო თხელი. ხშირად იყენებენ თასებს. დოქის ერთ-ერთი სახეობაა ჭინჭილა, რომელიც ზომით პატარაა, არაუმეტეს ჭიქის ტევადობის, თიხის ჭინჭილები გვხვდება როგორც მოჭიქული, ასევე მოუჭიქავიც. აქვთ თითის გასაყრელი სახელური - ყური.

უძველესი დროიდან სხვადასხვა ზომისა და ფორმის ღვინის შესანახი ჭურჭლის გავრცელებული სახელებია:*ქვევრი, ჭური, დერგი, ლაგვინი, ლაგვინარი, ყვიბარი, ქვიბარი, ლახუტი, ჩასავალი, ხალანი და ქოცო.*

ჭური დასავლეთ საქართველოში გავრცელებული დიდი ზომის თიხის ქვევრის მსგავსი ღვინის შესანახი ჭურეჭლია, ე. ი. ქვევრის სინონიმია. *ჭურის მკეთებელ ხელოსანს „მეჭურე“, ხოლო დარგს „მეჭურეობა“ ეწოდებოდა.*

ნ. კობაიძე აღნიშნავს „ჩვენ ხომ *ქვევრისა* და *დერგის* ყველების ქვეყანა ვართ. თიხაში გვქონდა ყველი, როგორც ღვინო. ერთად დაიბადნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა მოხდეს ყველის პოზიცირება ღვინოსთან ერთად. სადაც ღვინო გადადგამს ფეხს, კარგი მეოჯახე დედაკაცივით ყველიც გვერდში უნდა მიჰყვებოდეს“(კობაიძე, 2014).

ოდითგანვე, საქართველოში ღვინის *ქვევრები* ყველა ოჯახს მაინც ჰქონდა, რომელიც პროდუქტის შესანახად იყო განკუთვნილი. *ქვევრში* ღვინის დაყენების ქართული უნიკალური ტექნოლოგია დაახლოებით 8000 წლისაა და 2013 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

დერგს, თიხის ჭურჭელს იყენებდნენ უმთავრესად ყველისა და მწნილის ჩასადებად, აგრეთვე მარცვლეულისა და ფქვილის შესანახად. ცნობილი ქართველი მეცნიერი, აგროქიმიკოსი, ენოლოგი *ვასილ ჰეტრიაშვილი* თავის ნაშრომში, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წერდა, რომ სამეგრელოში ყველს მიწაში ჩადგმულ, *დერგში* ინახავდნენ. იცოდნენ ასევე მიწის ქვეშ შენახვაც.

რაც შეეხება კეცს, მისი ნაირსახეობებიდან გამომდინარე, მას სხვადასხვა ეპოქაში განსახვავებულად ამზადებდნენ. საქართველოში კეცი ორი სხვადასხვა მასალისგან მზადდება: ქვისგან და თიხისგან. სულხან-საბა ორბელიანი კეცს განმარტავს, როგორც „მიწა საჭურჭლეს“ (ორბელიანი, 1949: 299). დ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში ასეთ დეფინიციას იძლევა: კეცი-,,თიხა,

თიხის ჭურჭელი ან თიხის ტაბაკი, რომელსაც გაახურებენ და მასზედ აახურებენ მჭადსა“ (ჩუბინაშვილი, 1840: 242; Чубинашвили 1984)).

კეცი„თიხის (ან ქვის)ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიც აცხობენ მჭადს, პურს“ (ქეგლ IV: 1153). ძვ. ქართ. კეცი (ძვ. ქ.) „თიხა, თიხის ჭურჭელი, გამომწვარი კრამიტი“ (აბულაძე 1973: 197).

დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის მიხედვით სიტყვა *კეცის* ინგლისური ვარიანტებია: კეცის პური/მჭადი - 1. n. *earthenware bread-baking dish (maize) bread baked on pan; 2. potter's clay; clay tile*; 3. arc. earthenware vessel (დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი = A Comprehensive Georgian-English Dictionary, 2006).

ძვ. წ. აღ.-ით 3500 წელს იბერიელები იყვნენ იბერიის ნახევარკუნძულის დომინანტი კულტურის წარმომადგენლები. ისინი იყვნენ ჩრდილოეთ აფრიკის, ხმელთაშუა ზღვის კულტურისა და ადგილობრივი მკვიდრი ჯგუფების შთამომავლები. ესპანეთში იბერიული კულტურა ვითარდებოდა ძვ. წ. აღ.-ით VI საუკუნიდან და შესაძლოა უკვე ძვ. წ. აღ.-ით V-III ათასწლეულამდე იბერიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე.

ბრიტანეთის პირველმოსახლეები იბერიელები იყვნენ. ისინი იბერიის ნახევარკუძულიდან 6000 წლის წინ მოსული ბასკების წინაპართა გენეტიკის გამგრძელებლები და მათი შთამომავალნი არიან (Sykes, 2006 : 2007). დაახლოებით 4.500 წლის წინათ თიხისან დამზადებული *ბიკერები - ქოთნები* გამოჩნდა იბერიაში,ამჟამინდელ ესპანეთსა და პორტუგალიაში.ბიკერები და ბიკერების კულტურა სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში.

მესამე ათასწლეულის შუა ხანებიდან, დაახლოებით ძვ. წ. აღ.-ით 2500 წლიდან, ბრიტანეთის ტერიტორიაზე ახალმოსახლეები, ბიკერები ჩნდებიან. მათ მიერ მოტანილი თიხის ნაწარმის მიხედვით, რომლებსაც ბიკერებს უწოდებენ, ხალხსაც ასე მოიხსენიებენ *(the Beaker people).*

ბიკერის კულტურა არის კულტურული ფენომენის სახელი, რომელიც გავრცელდა დასავლეთ ევროპის დიდ ნაწილში გვიანდელი ნეოლითის და ადრეული ბრინჯაოს ხანის პერიოდში. ტერმინი შემოიღო ჯონ აბერკრომბიმ (John Abercromby). ამ კულტურის გამორჩეული თიხის სასმელი ჭურჭლის საფუძველზე მათ შემოიტანეს კერამიკა, უძველესი ლითონის ნაკეთობა, ქვის მაჯის დამცავი და ისრის პირები ჩვენს კულტურაში, ისევე როგორც კელტური ენის ადრეული ფორმა (Abercromby, 2015).

ბიკერები ფართო ყელის მქონე ჭურჭელია. მათ ალკოჰოლური სასმელების დასალევად, საკვები პროდუქტების შესანახად და ლითონის გამოდნობისას იყენებდნენ. ანალოგიურ ჭურჭელს იყენებდნენ საქართველოშიც, რომლის ნიმუშებიც მე-6 ათასწლეულს,ანუ პირველი ბიკერების გამოჩენამდე სულ ცოტა 2500 წლით ადრე პერიოდს განეკუთვნება (მესხი, 2012 : 43).

სიტყვა *beaker - ბიკერი* - საშუალო ინგლ.- biker ,,დიდი სასმელი კონტეინერი'' – ,,big drinking container“ და საშ. ჰოლანდ. *Bēker* - drinking vessel – „სა-

სმელი ჭურჭელი'', ორივე წარმოშობილია საშუალო ლათინურიდან *bicārius, bicārium.* მოცემული სიტყვა, ასევე შესაძლო წარმოშობილია ძველი სკანდინავიურიდან - *bikarr* და დასაბამს იღებდეს ბერძნული სიტყვიდან *bikos* - სასმელი ჯამი - 'drinking bowl' (*The American Heritage ® Dictionary of the English Language, 4 th edition*).

კელტური ჭურჭელი ხშირად მუქი ფერის ან წითელი შავი დეკორაციით იყო გაფორმებული. მიუხედავად მათი სიმარტივისა, ჭურჭელი კარგად იყო დამზადებული და უაღრესად გაპრიალებული, რომელიც წარმოადგენდა VI საუკუნის ჭურჭლის ტიპს. ხმელთაშუა ზღვის აუზიდან შემოტანილმა კერამიკულმა ნაწარმმა შესაძლებელი გახადა უკეთესი ხარისხის ჭურჭლები დაემზადებინათ. კელტებს განსაკუთრებით უყვარდათ ღვინო და ამზადენდნენ გრძელ ყელიან კოლბის ტიპის ჭურჭელს, რომელიც ცნობილია სახელწოდებით - *Linsenflasche.*

კელტებზე დიდ გალენას ახდენდა ევროპის და აზიის სხვადასხვა კულტურების მიერ დამზადებული ჭურჭელი, რომელსაც იძენდნენ ვაჭრობის გზით. მათ შორის იყო ბერძნული ღვინის თასები, ეტრუსკული კრატერები და რომაული ამფორები და ა. შ. (Cartwright, 2021).

ჩინეთში კერამიკის განვითარების ისტორია ნეოლითის ხანაში დაიწყო. ფაიფურის, ფაიანსის და ქაღალდის მრეწველობაში გამოიყენება თეთრი თიხა ანუ კაოლინი. კაოლინი თიხის ყველაზე სუფთა ფორმაა. თიხის საბადოები ძირითადად შედგება კაოლინისაგან (სიტყვა *„კაოლინი"* მომდინარეობს ჩინური ადგილის სახელიდან *Gaoling – გაოლინი* (,,მაღალი მთის ქედს" ნიშნავს - კაოლინის მთაზე აღმოჩენილი თეთრი მასა). ეს არის პატარა ქალაქი ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციაში ძიანსში, სადაც პირველად აღმოაჩინეს კაოლინი ანუ თეთრი თიხა და სადაც დაიწყო მისი მოპოვება სამრეწველო მასშტაბით.

პირველი მოჭიქური კერამიკული ჭურჭელი ე. წ. *პროტოფაიფური,* რომლის წარმოებაში პირველად გამოიყენეს კაოლინი, გამოჩნდა ჩინეთში ჰანის დინასტიის დროს (206-221 წწ.).

VI-VII საუკუნეებიდან, ჰანის დინასტიის დროს დაიწყეს ჩინური ფაიფურის წარმოება ძიანსის პროვინციაში მდებარე ქალაქ *ძინდეჩჟენში,* რომელსაც ჩინური ფაიფურის დედაქალაქს უწოდებენ. შესაძლოა, ლეგენდის მიხედვით, ღვთაებრივი სასმელის ჩაისადმი ჩინელების სიყვარულის წყალობით ეს შესანიშნავი მასალა შეიქმნა და დაიხვეწა. ფაიფურის წარმოებამდე ჩინელები იყენებდნენ ძვირადღირებულ ნეფრიტის თასებს.

ფაიფურის წარმოებას ჩინეთში VI საუკუნეში, ტანგის დინასტიის დროს (617-907 წწ.) ჩაეყარა საფუძველი. ჩინური კერამიკის განვითარების პიკად ითვლება სუნის დინასტიის ეპოქა, რომელიც ცნობილია მომწვანო და ლურჯი ცელადონის ნაწარმით მინანქრით. ჩინური ფაიფური შთამბეჭდავია თა-

ვისი მრავალფეროვნებით და ტექნიკით. ჩინეთიდან ჯერ კორეაში, შემდეგ კი იაპონიაში გადავიდა ფაიფურის წარმოების ტრადიცია.

სუნის დინასტიის ეპოქაში დაიწყეს მოჭიქული ფაიფურის წარმოება, რომელიც დღეს ცნობილია ევროპული სახელწოდებით „celadon".

„ფაიფურს" უწოდებენ „სპეციალურ სახეობას კერამიკას", ისევე როგორც მისგან დამზადებულ პროდუქტებს.სიტყვა„*ფაიფურის*" ეტიმოლოგია შემდეგია: *farfura* < თურქ..*farfur* < სპარს. *Fayfûr*, არაბ. fayfûr (ჩინეთის იმპერატორის ტიტული,რეგიონის სახელი ჩინეთში, სადაც პირველად აწარმოეს ფაიფური).

დამაბნეველია ფაიფურის აღმნიშვნელი ინგლისური სიტყვების *„china"* და *„porcelain"* შორის განსხვავება.ორი ტერმინი აღწერს ერთსა და იმავე პროდუქტს. ტერმინი *„china"* მომდინარეობს მისი წარმოშობის ქვეყნიდან, რომელიც წარმოადგენს ხარისხიანი ფაიფურის სინონიმს. ხოლო სიტყვა *„porcelain"* წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან *„porcella",* რაც „ზღვის ნიჟარას" ნიშნავს.

ცნობილი იტალიელი მოგზაური და მკვლევარი მარკო პოლო ჩინეთიდან დაბრუნებისთანავე აღწერდა პორცელანისგან დამზადებულ უჩვეულო, ჩინური ფაიფურის ნახევრადგამჭვირვალე ბზინვარებას. ის ამბობდა, რომ ის წააგავდა *„porcellana"*-ის (პატარა გოჭის) ბზინვარებას, აღნიშნავს ზღვის ნიჟარებს, რომლებიც ჰგავს ბურთულებად დახვეულ გოჭებს. სიტყვა *porcelain* მოგვიანებით შევიდა ევროპულ ენებში. მაგალითად: სლოვენურად და ჩეხურად არის *„porcelan",* გერმანულად *Porzellan* და ა. შ. სხვა ენებზე, ამ ტიპის კერამიკის პროდუქციის სახელწოდება ჟღერს როგორც *„ფაიფური".*

ლურჯი და თეთრი - ფაიფურის ნივთების ტრადიციულ ფერთა გამას აქვს ხანგრძლივი ისტორია, რომელიც დაკავშირებულია შემოქმედებით ძიებასთან და აღმოჩენებთან. თვლიან, რომ კობალტის შემცველი მინერალებისა და მადნების პრაქტიკული გამოყენება კერამიკულ და მინის ხელნაკეთობებში დაიწყო ძვ. წ. აღ.-ით III და II ათასწლეულის მიჯნაზე მესოპოტამიაში, საიდანაც მისი წარმოება გავრცელდა ანტიკური სამყაროს სხვა ნაწილებში.

ლურჯი და თეთრი კობალტის ფაიფური პირველად IX საუკუნეში გამოჩნდა ჩინეთში ძიანსის პროვინციაში და პოპულარობა ცოტა ადრე - იუანის დინასტიის ეპოქაში მოიპოვა. მოგვიანებით, წითელი და ყავისფერი ასევე გახდა პოპულარული ფერები. დეკორატიული მხატვრობა უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე თავად სხვადასხვა სახის ჭურჭელი. ნახატის ძირითად მოტივებს წარმოადგენდა მრავალფეროვანი ყვავილები, ფიჭვის ტოტები, ფრინველები და ცხოველები. გამოსახულებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჟანრულ და მითოლოგიურ სიუჟეტებს,

XIII-XIV საუკუნეებში ჩინეთში ფაიფურის წარმოებამ პიკს მიაღწია და ფაიფური ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

ფაიფურის შექმნის პირველი მცდელობები იტალიელმა ოსტატებმა XV საუკუნის მეორე ნახევარში გააკეთეს. პირველი გარღვევა ფაიფურის წარმოე-

ბაში მოხდა ფლორენციაში ფრანჩესკო დი მედიჩის, ტოსკანის დიდი ჰერცოგის მეფობის დროს (1575-1597), რომელიც ცნობილია „მედიჩის ფაიფურის“ სახელით.

ევროპაში, მხოლოდ 1700-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში თიხისა და ფელდსპარის შერწყმით მზადდებოდა მყარი ფაიფურის მსგავსი თანამედროვე ნაწარმი. გერმანიაში პირველი, ვინც მოახერხა ფაიფურის მასალის საიდუმლოების ამოხსნა და შეიმუშავა წარმოების ტექნოლოგია იყო გერმანელი ფიზიკოსი ერენფრიდ ჩირნჰაუსი. ეს მოხდა 1703 წელს, მას ასისტენტობას უწევდა გერმანელი ალქიმიკოსი იოჰან ბიოტგერი. 1710 წელს დრეზდენის მახლობლად მდებარე ქალაქ მაისენში აშენდა ევროპაში პირველი ფაიფურის ქარხანა (Секреты 2022). ჩინური ფაიფური, რომელიც ნიდერლანდებში შემოტანილი იყო ოსტინდოეთის კომპანიის მიერ, ძალიან ძვირი ღირდა და ასევე ძალიან ლამაზი იყო.

XVI საუკუნიდან ნიდერლანდების სამეფოს ქალაქი დელფტი კერამიკის წარმოების უდიდესი ცენტრია. ქალაქის ხელოსნებმა მიბაძეს ჩინური და იაპონური კობალტის ფაიფურის პროდუქციის წარმოების სტილს. დელფტის პროდუქცია - *delftware* მოხატული იყო კობალტის ოქსიდით, რომელიც გამოწვის შემდეგ იძლევა მკაფიო ლურჯ ფერს. დელფტის *ლამბერტ ვან მეერტენის მუზეუმში* ინახება ყველაზე ძველი და ყველაზე საოცარი *ქაშანურის ჭურჭლის* კოლექცია. ძველ სამეფო *ფაიფურის მანუფაქტურაში*, ამჟამადაც არ ღალატობენ ტრადიციებს და კერამიკის წარმოების მრავალსაუკუნოვან მეთოდს იყენებენ.

XVIII საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისში, ფაიფური საზოგადოებაში ფართო მოხმარების საგანი გახდა. კერამიკული ხელოვნება ინგლისში რომაელებმა შემოიტანეს, დაახლოებით 1770 წელს კაოლინის თიხა აღმოაჩინეს კორნუოლში, ინგლისში და ბრიტანელებმაც დაიწყეს ფაიფურის დამზადება. ინგლისური ფაიფური განსხვავდებოდა სხვა ევროპული ქვეყნების ფაიფურის წარმოების ტექნოლოგიებით, რომელიც აღიარებულია, როგორც დახვეწილობისა და ელეგანტურობის სტანდარტი მთელ მსოფლიოში.

ბრიტანული კერამიკული წარმოების დაწყების ისტორია დაკავშირებულია ახალაზრდა ინგლისელ კერამიკოს *ჯოზაია უედჯუდის* (Josiah Wedgwood) სახელთან. XVII საუკუნის ბოლოს მან პირველად გამოიგონა მაღალი ხარისხის თხელი კერამიკის ტიპი ძვლის ფხვნილის დანამატით.

ჩელსის ფაიფურის ქარხანაში - Chelsea porcelain factory - კერამიკულ ნაწარმს ამზადებდნენ ძირითადად გერმანული სტილის მიხედით. ასევე, XVIII საუკუნის შუა ხანებში ფაიფურის წარმოება დაიწყო სხვა ინგლისურმა ქარხნებმა - Royal Worcester და Royal Crown Derby, XVII საუკუნის ბოლოდან ამერიკაში ამზადებდნენ კერამიკულ ნაწარმს.

XIX საუკუნეში ცნობილი ირლანდიური ფაიფურის ქარხანა „Belleek“ აწარმოებდა კერამიკულ - პოპულარულ მაღალხარისხოვან მარალიტის ფერის ელეგანტური ფაიფურის ნაწარმს - საოცარი ყვავილების კომპოზიციებითა და აჟურული ნაქსოვით სხვადასხვა სახის ჭურჭელს.

მსოფლიოში არსებული მრავალი კერამიკული ჭურჭლის მანუფაქტურა და ფაიფურის ნამუშერები განსხვავდება ერთმანეთისგან: გერმანიაში, საქსონიაში *მაისენის მანუფაქტურა,* ფრანგული სამეფო ფირმა *„სევრის მანუფაქტურა“,* ავსტრიის საიმპერატორო მანუფაქტურა *„ვენა“*, იტალიაში *„კაპოდიმონტეს მანუფაქტურა“,* ინგლისური მანუფაქტურები, რუსეთის საიმპერატორო მანუფაქტურა (დულევოს, ხაიტინის, გჟელის, კუზნეცოვის ფაიფურის ქარხანები), დანიის სამეფო მანუფაქტურა და ა. შ.

საქართველოში *ფაიფურის* წარმოება, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, კერამიკული ხელოვნების ახალი დარგია. ადგილობრივი საფაიფურე ნედლეულის ძიება,შესწავლა და მისი წარმოებაში დანერგვა რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. ქართული ფაიფურის ჩამოყალიბება-განვითარების ხანად 1930-50-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ (ჩიტორელიძე, 2021).

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა მოჭიქურ კერამიკას. ოსტატები ყოველთვის ცდილობდნენ პროდუქტისთვის მიენიჭებინათ ლამაზი, დახვეწილი ფორმები. ჭიქური არის ,,კრიალა, მოელვარე შენადნობი, რომლითაც თიხის ჭურჭლის ზედაპირს ფარავენ“ (ქეგლი).

„ჭიქური რთული შედგენილობის შესამკობი მასალაა. იგი სხვადასხვა ფერისა შეიძლება იყოს: შავი თეთრი (წმინდა), მტრედისფერი, მოწითალო, ყავისფერი. მისი შემადგენელი ნაწილებია: შავი ქვა; ტყვია, (რუხი ანუ მაგარი, რბილი ანუ სუფთა); კალა; სპილენძის ჟანგი (სპილენძის ანაფხეკი, თოგალი); თაგვმარილა-კაჟი; თლილი ჭიქა, შუშა. ჭიქური არისკრიალა, მოელვარე შენადნობი, რომლითაც თიხის ჭურჭლის ზედაპირს ფარავენ“ (ფხაკაძე, 2006 : 38). საოჯახო ყოფაში მოჭიქული ჭურჭელი გამოიყენება როგორც რძის, ასევე სხვა პროდუქტების შესანახად.

მოჭიქული ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინი „ქაშანური“ XI-XII საუკუნიდან არის შემოსული, რომლის სახელწოდება უკავშირდება სპარსეთის ქალაქ ქაშანს, ცნობილს მოჭიქული ჭურჭლის წარმოებით. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს:„ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქაშანური ჭურჭელი უეჭველად სპარსეთიდან შემოდიოდა, არამედ უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქართველოშიც აკეთებდნენ ქაშანურის მსგავს ჭურჭელს და ადგილობრივ იყო დანერგილი ამგვარი ჭურჭლის არსებობა (ჯავახიშვილი, 1965 : 51).

ფაიანსი ეკუთვნის მხატვრული კერამიკის კატეგორიას, რომელიც ძველ ეგვიპტესა და მესოპოტამიაში იყო ცნობილი. თუმცა ფაიანსის წარმოება დაიწყო იტალიის ქალაქ ფაენცაში, აქედანაა მისი სახელიც. ქალაქი ფაენცა წარმოადგენდა კერამიკული წარმოების ცენტრს, სადაც XV საუკუნიდან კეთდე-

ბოდა მაღალი ხარისხის კერამიკული ნაწარმი. ფაიანსი ფაიფურისგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ არ არის გამჭვირვალე.

იტალიაში მხატვრული კერამიკის ნაწარმით განთქმული იყო კუნძული მაიოლიკაც, სადაც მზადდებოდა გამომწვარი თიხის ფერადკეციანი და ფორიანი ნაწარმი. ასეთებად ცნობილია ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ქანდაკებაში, არქიტექტურასა და სხვ.) გამოყენებული, მაიოლიკად წოდებული, ლამაზად მოჭიქული, მდიდრულად მორთული ნივთები და აგურ-კრამიტები. მაიოლიკას ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებად ითვლებიან ლუკა დელა რობია (XV საუკუნე), ჯიორჯიო ანდრეოლი პავიელი (XVI საუკუნე) და სხვები (ჭუმბურიძე, 2017 : 13).

კასტელი პატარა იტალიური ქალაქია ტერამოს მთებში, აბრუცოს რეგიონში, სადაც XVI, XVII და XVIII საუკუნეებში შეიქმნა საოცრად მრავალფეროვანი მაჟოლიკა. Majolica Castelli არის ფარმაცევტული ჭურჭელი - დოქები, ალბარელი, ვაზები, რომლებიც გამოიყენებოდა სამკურნალო ბალახებისა და წამლების დასამზადებლად.

ტერაკოტას წარმოების ტრადიცია მრავალსაუკუნოვანია და სათავეს იღებს ფლორენციის რეგიონიდან, რადგან იქ აღმოჩენილი თიხა პროდუქტს უნიკალურ ტონს და ხარისხს აძლევს. დროთა განმავლობაში, ტერაკოტა გახდა ერთ-ერთი მთავარი მოსაპირკეთებელი მასალა. ამ კერამიკული ნაკეთობის სახელწოდება მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან *terracotta,* რომელიც გამომწვარ აგურს ნიშნავს. ეს არის რკინის შემცველი თიხისგან დამზადებული მოუჭიქავი ჭურჭლის სახეობა, რომელიც პირველადი გამოწვის შემდეგ იძენს წითელ-ყავისფერ ან მოყვითალო-ყავისფერ ფერს. მისგან მზადდება ჭურჭელი, ლარნაკები, ქანდაკება, სათამაშოები და ა. შ. ღვინის ჭურჭელს ამზადებენ მოწითალო ტერაკოტასგან.

ტერაკოტას არქიტექტურული დეტალები, ფილები, წყლის მილები მზადდებოდა ძველ საბერძნეთში.

კერამიკულ ნაწარმთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმებია: *ჭურჭელი* - saucer vessels; dish; dinnerware; kitchenware, utensil; ware; dishes; hollow-ware glass-ware; saucer; (earthware) pot, pitcher. *ფაიფური - porcelain*, ფაიფურის ჭურჭელი - *set of china - cup*; სერვისი - *service,* ლანგარი, ჭურჭელი - *dishes;* თეფშები - *plates;* ფიგურა - *figure*, ვაზა - *vase,* ფილიგრანი - *filigree*, სასანთლე - *candlestick*, თასი - *cup*, ფაიფურის თოჯინა - *porcelain doll*, სტატუეტი- *statuette* და ა. შ.

სიტყვა „ფაიფურთან“ დაკაშირებული სინონიმებია: ფაიანსი - *faience*, *glazed crockery*, *china*, კერამიკა - *ceramics*, *pottery*, მაიოლიკა - *majolica,* სელადონი - *celadon*, ნაკეთობა (პროდუქტი) – *product.* როგორი შეიძლება იყოს ფაიფური - მოხატული - *painted,* ძვლის - *bone*, გამჭვირვალე - *transparent,* ნახევრადგამჭვირვალე - *semi-transparent*, საგვარეულო - *ancestral*, ჩინური ფაიფური - *Chinese*, იაპონური - *Japanese*, თხელი - *thin*, ფასდაუდებელი - *priceless*,

ნატიფი - *refined*, ვარდისფერი - *pink,* ფრანგული - *French,* შავი - *black,* ნამდვილი - *real*, ანტიკური - *antique*, საქსონური ფაიფური - *Dresden china*, ძვირადღირებული - *expensive*, თეთრი ფაიფური - *white*, მყიფე ფაიფური - *fragile,* ძვირფასი ფაიფური - *precious porcelain*, ინგლისური ფაიფური - *English*, ლურჯი ფაიფური - *blue*, რუსული ფაიფური - *Russian* და ა. შ. ფაიფურთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ფრაზებია: ფაიფურის ნატეხები - *fragments of porcelain*, ფაიფურის კოლექცია - *porcelain collection*, ფაიფურის წარმოება - *porcelain production*, ფაიფურის ხმა - *porcelain sound* ფაიფურის ნაჭრები - *pieces of porcelain*, ფაიფურის მსხვრევის ხმა - *the sound of breaking porcelain*, ფაიფურის მოდელები - *china patterns, ფაიფურის მაღაზია - china shop* და ა. შ.

ტერაკოტას ნაწარმის აღმნიშვნელი ტერმინებია:ნეფრიტი-*nephritis,* ნაცუკე *netsuke,* ჭურჭლის სარეცხი ჯამი - *slop bowl*, *slop basin*, ბისკვიტის (ორცხობილას)თასი -*biscuit barrel*, საჩაიე (ჩაის შესანახი)- *tea caddy*, მცირე ზომის ლანგარი, სინი, ხონჩა;პატარა გობი *a small tray,* ვეჯვუდი - *wedgwood* და ა. შ.

ფაიანსის ნაწარმია: *ფაიანსის ჭურჭელი - faience dishes*, საყოფაცხოვრებო ნივთები - *household utensils*, სალათის თასები - *salad cups,* მინიატურული სკულპტურა - *miniature sculpture*, ყვავილის ვაზა - *flower vase*, დეკორატიული თეფშები - *decorative plates*, ინტერიერის ნივთები - *interior items* და ა. შ.

საუკუნეებს ითვლის ქართული და ინგლისური ენის კერამიკული ლექსიკის ფონდის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ენებმა, კულტურებმა და კონტაქტებმა.

ორივე ენის კერამიკული ლექსიკის ფონდის გამდიდრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სესხება, როგორც ლექსიკის შევსების საშუალება.

კერამიკული ტერმინოლოგიის შევსება ძირითადად ხდება ინგლისური ენისა და ბერძნულ-ლათინური ელემენტების გამოყენებით, ასევე სესხების წყაროს წარმოადგენს ფრანგული *(appliqué, arabesque, crackle, casserole*), გერმანული *(alabaster, tile, glaze, flux, cobalt, copper, enamel, feldspar)*, იტალიური *(angobe, porcelain, faience, terracotta, sgraffito, majolica, angobe, arita)*, არაბული *(amole, adobe, alkaline, amalgam, borax)*, ჩინური და იაპონური ენები *(bunko, chunk, hakeme, anagama, kaki, kaolin).*

ქართულ ენაში კერამიკული ლექსიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის სხვადასხვა დიალექტში: ქართლურ, კახურ, აჭარულ, მეგრულ, სვანურ, რაჭულ, თუშურ, მესხურ-ჯავახურ, იმერულ, გურულ, ლეჩხუმურ კილოებში.

კერამიკული ლექსიკის გამოყენება კლასიკური ენებიდან - ბერძნულიდან და ლათინურიდან და ინგლისური ენის და სხვადასხა ენების ხარჯზე იწვევს კერამიკული ტერმინოლოგიის ინტერნაციონალიზაციას.

მაშასადამე, ენის ლექსიკური სემანტიკის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა. კერამიკული ლექსიკა საინტერესოა ლინგვისტური კვლევისთვის. უხსოვარი დროიდან კერამიკა ასახავს ხა-

ლხთა კულტურასა და ეროვნულ მემკვიდრეობას არა მხოლოდ პროდუქტებში, არამედ სახელწოდებებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე (1973). ილია აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი=A Comprehensive Georgian-English Dictionary (2 ტომად) შემდგ. რუსუდან ამირეჯიბი, შუქია აფრიდონიძე..., დონალდ რეიფილდი (მთ. რედ.) და სხვ. ლონდონი, გარნეტი.

ზანდუკელი (1982). მ. ზანდუკელი. ქართული ხალხური კერამიკა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

იზმაილოვი (2022) ევგენი იზმაილოვი, კანი თიხის მძიმე მდგომარეობაა. თიხა. იხილეთ ელექტრონული ვერსია: https://minikar.ru/ka/money/kozh-e-tverdoe-sostoyanie-gliny-glina-svoistva-gliny-sostav/ (ბოლო ნახვა 2022 წლის 25 დეკემბერი)

თიხა და მისი თვისებები (2022) თიხა მისი თვისებები და გამოყენება. რა არის თიხა, მისი ტიპები და თვისებები, იხილეთ: https://minikar.ru/ka/pritchi/glina-ee-svoistva-i-primenenie-chto-takoe-glina-ee-vidy-i-svoistva-chto-nuzhno/ (ბოლო ნახვა 2022 წლის 25 დეკემბერი)

კინწურაშვილი (2011). თეა კინწურაშვილი. არქეოლოგიური კერამიკული ნაკეთობების კონსერვაციის მეცნიერული საფუძვლები (აწყურის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლის მაგალითზე). თბილისი. იხილეთ ელ-ვერსია https://el.ge/articles/1043 (ბოლო ნახვა 2022 წლის 25 დეკემბერი)

კობაიძე (2014) ნანა კობაიძე. ქართული ყველით „შეპყრობილი“, „მარანი“ - საინფორმაციო და ანალიტიკური პორტალი, იხილეთ: http://vinoge-.com/blogis-avtorebi (ბოლო ნახვა 2022 წლის 25 დეკემბერი)

მესხი (2012). ანა მესხი. ინგლისური ენის ისტორია იბერიული პრეისტორიის ფონზე. წიგნი I. გამომცემლობა „მწიგნობარი“. თბილისი.

ორბელიანი (1949) სულხან - საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი;

ფხაკაძე (2006). ნინო ფხაკაძე. მეთუნეობის ტერმინოლოგია ქართულში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ჩიტორელიძე (2021). სოფიო ჩიტორელიძე. ქართული მხატვრული ფაიფურის ისტორიისათვის. ელექტრონული ჟურნალი „ახალი და თანამედროვე ხელოვნება“. სერია B. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქარ-

თული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. იხ. ელ-ვერსია: https://www.georgianart.ge/index.php/ka-/2010-12-03-16-25-41/168-2014-11-19-16-38-53.html (ბოლო ნახვა 2022 წლის 25 დეკემბერს).

ჭუმბურიძე (2017). ა. ჭუმბურიძე. აღმოსავლური ფაიფურის (ჩინეთი, იაპონია) ტექნოლოგიური დახასიათება. რესტავრაცია/კონსერვაცია და კვლევა. თბილისი;

ჩუბინაშვილი (1840) დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი, სანკტპეტერბურგი. იხილეთ ელ-ვერსია: https://iverieli.-nplg.gov.ge/handle/1234/477541 (ბოლო ნახვა: 2022.25.12).

ჯავახიშვილი (1965). ივანე ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.ნაკვ. 2. საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი. თბილისი;

ჯაოშვილი (1958). ვახტანგ ჯაოშვილი. კერამიკული მრეწველობა საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

Abercromby, J. (2015). John Abercromby. A Study of the Bronze Age Pottery of Great Britain and Ireland and its Associated Grave-Goods Cambridge University Press.

Cartwright, M. (2021). Cartwright Mark. Ancient Celtic Art, Sculpture, and Pottery.

Oppenheimer, St. (2007). Stephen Oppenheimer.The Origins of the British, Robinson, London.

Bryan, S. (2007). Sykes Bryan. The Blood of the Isles, Corgi Books.

Online Etymology Dictionary, იხ. ელ. გვერდი: https://www.etymonline.com/

Раппопорт, П. (1994). П. А. Раппопорт. Строительное производство Древней Руси (X–XIII вв.). СПб: Наука.

Секреты (2022) Секреты плетеного кружевного ирландского фарфора, производимого фирмой «Belleek», https://kulturologia.ru/blogs/031121/51588/ (ბოლო ნახვა 2022 წლის 25 დეკემბერი)

Чубинашвили (1984) Грузинско-русский словарь Нико Чубинашвили - Издательство „Сабчота Сакартвело“, Тбилиси.